



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს
 2014 წლის 27 იანვრის №1062
 დადგენილებით

მოდულიზებულია
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს
 2021 წლის 24 ივნისის
 №01-05-04/79 დადგენილებით

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

მეცხოველეობა
Animal Science

ფაკულტეტი

აგრარული მეცნიერების და ბიოსისტემების ინჟინერინგი
Faculty of Agricultural Science and Biosystems Engineering

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები

პროფესორი ვასილ ღლიღვაშვილი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია და პროგრამის მოცულობა კრედიტებით

<p>აგრარულ მეცნიერებათა დოქტორი Doctor of Agricultural Sciences</p> <p>მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის (60 კრედიტი) და კვლევითი კომპონენტის შესრულების შემთხვევაში; პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი.</p>

სწავლების ენა

ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

<p>მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დიპლომი. მხედველობაში მიიღება: სამეცნიერო პუბლიკაციების არსებობა; სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა; სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები და მასალები (სერტიფიკატები, სიგელები, პატენტები და ა.შ.).</p> <p>პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა წარმოადგინოს ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი შესაბამისი საერთაშორისო სერტიფიკატი. ზემოხსენებული სერტიფიკატის არქონის შემთხვევაში აპლიკანტი გამოცდას ჩააბარებს სტუ-ს საგამოცდო ცენტრში, ინგლისურ ენაში. დოქტორანტობის კანდიდატს, რომელსაც გავლილი</p>
--

აქვს ინგლისურენოვანი (ბაკალავრიატი ან/და მაგისტრატურა) პროგრამა გამოცდის ჩაბარება და სერტიფიკატის წარმოდგენა არ მოეთხოვება.

პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა ასევე უნდა წარმოადგინოს კვლევითი პროექტი, სადაც გამოიკვეთება აპლიკანტის კვლევის მიზანი და მიმართულება, დოქტორანტობის კანდიდატი გასაუბრებას გადის საფაკულტეტო დროებით კომისიასთან.

დოქტორანტურაში მიღების წესი და ჩარიცხვის პირობები, ასევე საგამოცდო ტესტების ნიმუშები უცხო ენებში მოცემულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

https://gtu.ge/Science/Doctorate_Department.php

პროგრამაში მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურების და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

პროგრამაში ჩარიცხვა ან გადმოყვანა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

გარე მობილობა. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე, შესაძლებელია, მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 2 თებერვლის ბრძანება №10/ნ-ით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ შესაბამისად.

შიდა მობილობა. საგანმანათლებლო პროგრამაზე ასევე დაიშვებიან მსურველები შიდა მობილობის წესით. შიდა მობილობის ვადები და პროცედურები დგინდება უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტით და ინფორმაცია თავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

საგანმანათლებლო პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ გვერდზე, როგორც სიახლეების ველში, ასევე სწავლების დეპარტამენტის გვერდზე ხდება ინფორმაციის განთავსება საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესებისა და პროცედურების შესახებ. ფაკულტეტის ვებ გვერდზე განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამები, სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს როგორც პროგრამაზე დაშვების წინაპირობას ასევე მის შინაარსობრივ მხარესაც.

უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებგვერდზე, ასევე ფაკულტეტის ვებგვერდზე მითითებულია საკონტაქტო ინფორმაცია. ნებისმიერ მსურველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს ინფორმაცია და ნებისმიერი საკითხის კონსულტაცია, როგორც სატელეფონო, ასევე ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

პროგრამის აღწერა

პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით, 1 კრედიტი შეესაბამება 25 აკადემიურ საათს; მასში იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. კრედიტების განაწილება მოცემულია პროგრამის სასწავლო გეგმაში.

პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი (6 სემესტრი). სასწავლო კომპონენტის ამოცანებია დოქტორანტის დარგობრივი და მეთოდოლოგიური მომზადება დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების განსახორციელებლად. სასწავლო კომპონენტი ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის წარმატებით მომზადებაში, მომავალ პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობაში. სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი შეადგენს 60 კრედიტს, რომელიც დეტალურადაა წარმოდგენილი პროგრამის საგნობრივ დატვირთვაში.

სემესტრის დაწყებამდე უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს ბრძანებას სასწავლო პროცესის

მიმდინარეობის შესახებ, რომელიც განთავსდება ვებ-გვერდზე: <https://gtu.gr/Orders/>. მეორე და შემდგომი სემესტრები ითვალისწინებს კვლევითი კომპონენტების შესრულებას, რომელშიც შედის: კვლევითი პროექტი/პროსპექტუსი, კოლოქვიუმი-1, კოლოქვიუმი-2, კოლოქვიუმი-3, წინასწარი დაცვა, დისერტაციის დასრულება და დაცვა.

კვლევითი კომპონენტი ფასდება ერთჯერადად, დისერტაციის დაცვის ეტაპზე, დასკვნითი შეფასებით.

სამეცნიერო კვლევითი კომპონენტის შეფასების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულებასა“ და „დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტების და მათი შეფასების წესში“, რომელიც განთავსებულია სტუ-ის ვებ-გვერდზე: https://gtu.ge/Learning/doq_debuleba.php

პროგრამის მიზანი

მეცხოველეობის სადოქტორო პროგრამის მიზანია, დარგის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, თანამედროვე ტექნოლოგიების მცოდნე უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტის, პედაგოგიური საქმიანობის უნარის მქონე მკვლევარის მომზადება.

კურსდამთავრებულები ხელს შეუწყობენ მეცხოველეობის სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრას და ყველა იმ რესურსის გამოყენებას, რომელიც განავითარებს აღნიშნულ დარგს, წარმოების ეფექტური წარმართვის სრულყოფას, აგრარული სფეროს მეცხოველეობის დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბებას.

სრულყოფენ ტრადიციულ მიდგომებს, ახლებური ხედვით ცხოველთა და ფრინველთა მოშენებას, ახალი საკვები საშუალების შექმნას და ინოვაციური მეთოდების გამოყენებას, რაც ხელს შეუწყობს რეგიონების და სასოფლო ტერიტორიების (სოფლის) მდგრად განვითარებას.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

- შეძენილი ცოდნის საფუძველზე განსაზღვრავს ცხოველთა შეფასებას, კვებას, გადარჩევას კონსტიტუციის და ექსტერიერის მიხედვით, მომშენებლობაში ინოვაციური მეთოდების გამოყენებას;
- აანალიზებს სანაშენე მუშაობის უახლეს მიღწევებს ჯოგის აღწარმოების საქმეში, სხვადასხვა მიმართულების მეცხოველეობის საწარმოებისათვის;
- იაზრებს საკვების, მისი ცალკეული ინგრედიენტების ენერგეტიკულ პოტენციალს და გავლენას პროდუქციის შექმნის პროცესზე, ხარისხის გაუმჯობესებისა და პროდუქტიულობის ამაღლების პერსპექტივებს;
- იცნობს თეორიული კვლევისა და ექსპერიმენტის ჩატარების ინოვაციურ მეთოდოლოგიას და თანამედროვე სამეცნიერო ნაშრომის/დისერტაციის დამუშავების ძირითად პრინციპებს. აანალიზებს სპეციალური ლიტერატურისა და კვლევის საფუძველზე მოპოვებულ მასალას, შეიმუშავებს ახლებურ კვლევით და ანალიტიკურ მეთოდებს;
- გეგმავს არსებული ცოდნის გააზრებისა და გადაფასების საფუძველზე საკუთარი პოზიციის დასაბუთებულად ფორმულირებას, საჯარო გამოსვლას, "საპროექტო წინადადების", სამეცნიერო შრომის წარდგენას და განხილვას თანამედროვე მოთხოვნების მიხედვით. მონაწილეობს დისკუსიაში ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის პრინციპებისა და წესების დაცვით; ასევე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხოურ ენაზე.
- დამოუკიდებლად გეგმავს ცხოველთა და ფრინველთა წარმოშობისა და შთამომავლობის ხარისხის მიხედვით შეფასების ინოვაციური კვლევის გამოყენებას, განხორციელებას და ზედამხედველობას;
- პრაქტიკული საქმიანობისა და პროფესიული კომუნიკაციების საშუალებით თავისი

ინტერესების სფეროში ადგენს ახალ ღირებულებებს და ზრუნავს მათ ინოვაციურ განვითარებაზე;

- გეგმავს კრიტიკულ, არაპროგნოზირებად სიტუაციებში პროფესიული ქცევისა და ეთიკის ნორმების დამკვიდრების გზებს და ინოვაციური მეთოდების შემუშავებას.
- ანხორციელებს სწავლებას უახლესი სწავლა-სწავლების მეთოდებისა და მათ სტრატეგიათა კომბინირებით, უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნის გადაცემითა და მის განმტკიცებაზე ორიენტირებული დავალებების შედგენით, საკითხების ანალიზის პროცესში სტუდენტთა ჩართვა/თანამონაწილეობის უზრუნველყოფითა და მათი შეფასების რელევანტური მეთოდებისა და კრიტერიუმების გამოყენებით.

სწავლის შედეგების მიღწევის (სწავლება-სწავლის) მეთოდები

ლექცია სემინარი (ჯგუფში მუშაობა) პრაქტიკული ლაბორატორიული
 სამეცნიერო-თემატური სემინარი დამოუკიდებელი მუშაობა კონსულტაცია
კვლევითი კომპონენტი დისერტაციის გაფორმება დისერტაციის დაცვა

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის მეთოდების ქვემოთ მოცემული შესაბამისი აქტივობები, რომელიც ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში):

დისკუსია/დებატები; ინდუქციური მეთოდი; დედუქციური მეთოდი; ანალიზის მეთოდი; სინთეზის მეთოდი; ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი; წერითი მუშაობის მეთოდი; პრაქტიკული მეთოდები; ახსნა-განმარტებითი მეთოდი; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.

სასწავლო კომპონენტის შეფასება:

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

FX-ის მიღების შემთხვევაში ინიშნება დამატებით გამოცდა, შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებულ ქულას. ამიტომ ხომ

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი/კომპონენტების შეფასება:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

კვლევითი კომპონენტი ფასდება ერთჯერადად, დისერტაციის დაცვის ეტაპზე, დასკვნითი შეფასებით.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების წესი განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე:

https://gtu.ge/Learning/doq_debuleba.php

დასაქმების სფერო

- მეცხოველეობის, მეფრინველეობის, ცხოველური წარმოშობის კვების პროდუქტების გადამამუშავებელი კერძო ორგანიზაციები და წარმოებები;
- საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით.

დამატებითი ინფორმაცია პროგრამის ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ მოცემულია თანდართულ დოკუმენტებში.

თანდართული სილაბუსების რაოდენობა: 7

პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	სასწავლო კომპონენტი	დამუშავების წინაპირობა	ECTS კრედიტი						
			I წელი			III წელი			
			I	II	III	IV	V	VI	
1	სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა	არ გააჩნია	4						
2	სამეცნიერო კვლევის მეთოდები მეცხოველეობაში	არ გააჩნია		5					
3	სწავლების მეთოდები	არ გააჩნია	6						
4	ცხოველთა და ფრინველთა მომშენებლობა	არ გააჩნია	10						
5	ცხოველთა და ფრინველთა რაციონალური კვება	არ გააჩნია	10						
6	პროფესორის ასისტენტობა	სწავლების მეთოდები		10					

	მეცხოველეობაში								
7	თემატური სემინარი მეცხოველეობაში	არ გააჩნია		15					
სასწავლო კომპონენტი სემესტრში:			30	30	-----				
სულ სასწავლო კომპონენტი:			60						
კვლევითი კომპონენტი			---						

პროგრამის სასწავლო გეგმა

№	საგნის კოდი	საგანი	ESTS კრედიტი/საათი	საათი									
				ლექცია	სემინარი (ჯგუფში მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა	პროექტი	შუასემესტრული გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა	
1	EDU10312G1-LS	სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა	4/100	15	15						2	4	64
2	AGC13910G2-LS	სამეცნიერო კვლევის მეთოდები მეცხოველეობაში	6/150	15	30						1	1	78
3	EDU10912G1-LS	სწავლების მეთოდები	6/150	30	30						2	2	86
4	AGC19510G1-LP	ცხოველთა და ფრინველთა მომშენებლობა	10/250	30		45					1	1	173
5	AGC19710G1-LP	ცხოველთა და ფრინველთა რაციონალური კვება	10/250	30		45					1	1	173
6	AGC17510G2-R	პროფესორის ასისტენტობა მეცხოველეობაში	10/250					150			2	2	96
7	AGC17610G2-K	თემატური სემინარი მეცხოველეობაში	15/375						30		2	3	340

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები

ვასილ ლილივაშვილი

აგრარული მეცნიერებების და
ბიოსისტემების ინჟინერინგის
ფაკულტეტის ხარისხის
უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

ნინო ლომიძე

ფაკულტეტის დეკანი

გიორგი ქვარცხავა

შეთანხმებულია

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

დავით მახვილაძე

დამტკიცებულია

სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2014 წლის 27 იანვრის №1062
დადგენილებით

მოდირეგულირებულია

აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების
ინჟინერინგის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
ოქმი №104 08.06.2021 წ.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

გიორგი ქვარცხავა